

„ჯეჯილის“ ადვოკატსა

(1897 წელი, გაზეთი „ივერია“)

ჯერ ფონს იკითხვენ,
მერე წყალში შევლენ.
ხალ. ანდაზა

ბ-მა დუტუ მეგრელმა ვეებერთელა წერილი გამოჰიმა ამას წინედ „ივერიის“ ფურცლებზედ ამ სათაურით: ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და ჟურნალი „ჯეჯილი“. იგი ებრძვის ერთს კრიტიკულს წერილს „ჯეჯილის“ შესახებ, ვითომ ჩემ მიერ დაწერილსა. მერმე და როდის დავბეჭდე ამისთანა წერილი? სადა ვსთქვი რომ „ჯეჯილის“ რედაქტორი და თანამშრომლები უნიჭონი არიან, ცუდად მოჰყავთ ჟურნალი, თანაგრძნობა საზოგადოებისა მთლად დაუპარგეს და თავისივე ხელით მარხავენო მას, როგორც ამას მამრალებს ჩვენი პატივცემული დუტუ? არსადა და არასოდეს.

არამც თუ ეხლა, არ წინა წლებში ხსენებული ჟურნალის გარჩვა და დაფასება მე არ მიკისრნია, თუმცა „კვალის“ რედაქცია აგერ სამი წელიწადია მოსვენებას არ მძლევეს, ასე გასინჯეთ, არც აღდგომას, არც ახალწელიწადს და არც შობასა, ისეთ ბოროტებით არის აღსავსე ჩემს წინააღმდეგ. მე მხოლოდ სამედიატორო საკითხი დავადგინე ჩემს უკანასკნელ წერილში, რომელიც „ჯეჯილსაც“ შეეხებოდა. გადაწყვეტით მე ამ საკითხში არაფერი მითქვამს „ჯეჯილის“ და „კვალის“ აკვარგიანობაზედ. ეს მე სავსებით მივანდე საუნივერსიტეტო სამართალსა.

მაშ რა მიზეზით, რა საბუთით მწვდა ბატონი დუტუ? მას, როგორც ეტყობა, „ცნობის ფურცლის“ წერილი „ჯეჯილის“ წინააღმდეგ ჩემად უცვნია და ჩემთან საბრძოლველად გამოსულა. დალოცვილი, ჯერ შეიტყობდა, ვინ არის ეს სასტიკი კრიტიკოსი და მერე ისე გამოილაშქრებდა საადვოკატო მჭერმეტყველებით. ჯერ ფონს იკითავდა, მერე წყალში შევიდოდა. თორემ სადაურია, პაატამ ბრე გაადინოს „ჯეჯილსა“ და იაკობს სთხოვდეს პასუხსა. ჩვენი მობაასე ამ შეცდომას ადვილად ასცილდებოდა, თუ რომ მას გაეხსენებინა, რომ მე ჩემს ჩანაწერებს ყოველთვის ვაწერ ქვეშ ან სრულ სახელ-გვარსა და ან იმისთანა ფსევდონიმსა, რომელიც ბევრმა შინაურმა, ქართველმა, კარგად იცის.

თუ მოსკოვის სტუდენტებმა, ხუთი ათასი ვერსის სიმორეზედ კარგად შეატყეს „ცნობის ფურცლის“ წერილს, რომ იგი არც კილოთი, არც ენით და არც მსჯელობის ხასიათით და მიმდინარეობით მე არ მომეწერებოდა, ბ-ნს დუტუს რაღაცით გაუჭირდა ეს ოლთისში. თუ „კვალ-ჯეჯილის“ რედაქციამ მიაწოდა ეს ცნობა, არ უნდა დაეჯერებინა, რადგანაც იგი ჩემს შესახებ დაუღალავად ავრცელებს ჭორებს, რომლის სიცრუეში თითონვე დარწმუნებულია.

ვიცი, ბ-ნი დუტუ მეტყვის: თქვენი სამედიატორო საკითხიდან სჩანს, რომ თქვენ „ჯეჯილს“ მდარე ჟურნალად სთვლითო. ეს მართალია, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ მდარესა და უმსგავსს შორის კაი მანძილია, მეორედ --- ქართველებში ვინ არა სთვლის მას მდარე გამოცემად? და აი ამისი უტყუარი საბუთიც: ამ ჟამად „ჯეჯილს“ ჰყავს, როგორც ამბობენ, მხოლოდ ას-ორმოც-და-

ათი ხელის მომწერი და ისინიც ნაშოვნი არიან რედაქციის აგენტების ჩიჩინის წყალობით. ეს ჩიჩინი რომ შეჩერდეს, ჟურნალი მთლად გაირიყება. ამის შიში თვითონ რედაქტორმაც გამოაცხადა „კვალში“. თქვენ ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას აბრალებთ არა რედაქციის უხეირობას, არამედ ქართველი საზოგადოების შეუგნებლობას, გულგრილობას, დაუდევრობას. მაგრამ ნუ თუ ჩვენი სამშობლო ქვეყანა ისე წყალ-წაღებულია, რომ მასში არ მოიპოვება ხუთას-ექვსასი სახლობა მაინც, რომელსაც ესმოდეს დიდი, შეუდარებელი მნიშვნელობა საბავშვო ჟურნალისა? ამას არავინ დაგიჯერებთ, თუ ეს სახლობანი არ იწერენ „ჯეჯილსა“ , ეს იმისგან უნდა იყოს, რომ არც ენით და არც შინაარსით შესაფერ საზრდოდ არა სთვლიან მას თავისი შვილებისათვის.

განა გულში თქვენ თვითონ სხვა აზრისანი ხართ? არა მგონია. ერთი წლის წინედ, როცა „ჯეჯილი“ უფრო შინაარსიანი იყო თქვენ თვითონ სწუხდით მის სიმდიდრეზედ და, სხვათა შორის , მირჩევდით მეც მიმეღო მონაწილეობა და სხვებიც მიმეზიდნა ჟურნალისადმი, და ახლა-კი პანეგირიკს უწერთ, როდესაც „ჯეჯილი“, თვით მისი მოსკოველი მეგობრების სიტყვით წინანდელზედ ბევრად დაბლა ჩამოვიდა. ამას ისაც უნდა დავუმატო , რომ თქვენთან საუბრის შემდეგ მე გაუგზავნე „ჯეჯილის“ რედაქციას ის საყმაწვილო მოთხრობა, რომელიც „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა საადდგომოდ („ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“). მაგრამ უკანვე მივიღე პირადი სიბოროტის გამო, როგორც ეს ნახსენები მქონდა ამას წინდა ერთს ჩემს წერილში. ერთმა ჩემმა ნაცნობმაც გაუგზავნა მოთხრობა მშვენიერი ქართული ენით დაწერილი; მაგრამ ისე დამახინჯებული და გაფუჭებული დაიბეჭდა იგი „ჯეჯილში“, რომ ავტორმა ქვა მიაგდო რედაქციას. ეს ქავილი დამახინჯებისა არის, სხვათა შორის, მიზეზი იმისი, რომ ბევრნი ნიჭიერნი მწერალნი მონაწილეობას სრულიად არ იღებენ ჩვენს საბავშვო ჟურნალში და ვინც იღებს, ისინიც თავის თავს ძალას ატანენ.

ჩვენი მობაასე ბრძანებს: თუ სიმცირეს „მოამბის“ ხელის მომწერლებისას თქვენ აბრალებთ საზოგადოების გულ-გრილობას, რატომ ამავე მიზეზს არ უნდა მიეწეროს „ჯეჯილის“ მცირე გასავალი საზოგადოებაშიო? ამის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ თვით საუკეთესო საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალებს არამც თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მცირედი ხელის მომწერი ჰყავთ, რადგანაც გაზეთები კონკურენციას უწევენ ჟურნალებსა და ბევრს მკითხველებს ართმევენ მათ. საბავშვო ჟურნალს-კი ცილაობას ვერ გაუწევს ვერც-ერთი გაზეთი და ამიტომ მას ყველგან ბლომდა ჰყავს ხელისმომწერი, თუ იგი ცოცხლად და გონივრად მიჰყავს რედაქციასა. საქართველოში მხოლოდ ერთი საბავშვო ჟურნალი არსებობს, ყოველს კონკურენციას მოკლებულია და მას ეყოლებოდა 400-600 დამბარებლამდე, თუ იგი ნახევრობით მაინც ასრულებდეს თავისს ძალას დანიშნულებას და საზოგადოების მოთხოვნილებასა.

ქებით და პანეგირიკით რომ „ჯეჯილს“ ეშველებოდეს, არც მე დაგივარდებოდი ადვოკატობაში, ჩემო მობაასეც, რადგანაც ბრმა ბოროტება სავსებით დამილოცნია სხვებისათვის. მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჭირი დამალვით არავის განუკურნია და ყორანი ხეხვით არავის გაუთეთრებია. და ვერც მე და თქვენ შევძლებთ ამასა.

„ჯეჯილის“ სიმდიდრეს იმიტომ კი არ ვაღიარებთ, რომ ჩემი თავი მიმაჩნია იმისთანა პირად, რომელსაც შეუძლიან ჯეროვან სიმალლემდინ აიყვანოს იგი და მოუპოვოს სრული თანაგრძნობა ყოველი შეგნებული ქართველი ოჯახისა. სრულიადაც არა. საბავშვო ჟურნალის სამაგალითო წარმოებისათვის საჭიროა ჩემზე ნაკლებად ხნიერი, ჩემზედ უფრო ჯანსაღი, ჩემზე ნაკლებად გაბეზრებული ოც-და-ათი წლის ბრძოლით შინაურს და გარეულს უკუღმართობასთანა. გარდა ამისა მე სხვა საზოგადო საქმეებს ვადგავარ რომელნიც, ვგონებ, არა ნაკლებ საჭირონი არიან, და რომელთა პირნათლად გაძღოლა ითხოვს სრულს ჩემს დროსა და ძალას.

სასიხარულოდ ჩვენდა ქართველ პედაგოგთა შორის მოიპოვებიან იმისთანანი, რომელთაც შეუძლიან ჩინებულად წაიყვანონ საბავშვო ჟურნალი, პირველსავე წელიწადს ერთი ოთხად მეტი თანამშრომელი და ხელის მომწერელი მოუპოვონ მას და ახლო მომავალში ათს ქართველს სახლობას შეაყვარონ იგი და გახადოს საარსო, მოუცილებელ საჭიროებად.

„ჯეჯილის“ გადაცემით მომავლის წლიდგან ცნობილნი მეუღლენი დიდს მოგებაში იქნებიან. ახლა იგინი მისდევენ ორს კურდღელსა და ორივე ხელიდგან მისდით, ზარალობენ. მაშინ კი მთელ თავის ძალას მოახმარებენ მხოლოდ „კვალს“, გააუკეთესებენ მას, ბევრს ხელის მომწერლებს მოიპოვებენ და საქმეს გაიჩაღებენ. საზოგადოებაც მადლობელი იქნება, რადგანაც დიდებს ექნებათ რიგიანი კვირული გამოცემა და ყმაწვილებს ყოველ-თვიური კარგი ჟურნალი.

ვგონებ, ეს რჩევა მეგობრულია და არ მოგაგონებთ იმ ბრმა და დაუცხრომელს მტრობას, რომლითაც ხსენებული რედაქცია მეპყრობა მე აგერ რამდენიმე წელიწადია.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

დუმეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ **სალომე რუხიაშვილმა**

3 აპრილი 2020 წელი

#დარჩისახლში

